პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
2 აპრილი
1940 წ.
№ 76 (5777)
ფასი 10 კაპ.

მეთორმეტე მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკა

გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიამ ერთხმად მიიღო კანონი კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. ამიერიდან იმ თავისუფალ ხალხთა დიად თანამეგობრობაში, რომლებსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აერთიანებს, არის უკვე არა თერთმეტი, არამედ თორმეტი თანასწორუფლებიანი ქვეყანა. ეს დიდი ისტორიული მოვლენაა, ეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა.

ახალი, მეთორმეტე მოკავშირე რესპუბლიკის შექმნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის იმ ბრწყინვალე გამარჯვების პირდაპირი შედეგია, რომელიც მან ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში მოიპოვა. სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა დაამსხვრიეს სამხედრო პლაცდარმი, რომელიც მომზადებული იყო ლენინგრადზე, მსოფლიოს უდიდეს პროლეტარულ ცენტრზე, თავდასასხმელად, მოახდინეს ლიკვიდაცია იმპერიალისტური შემოსევის საშიშროებისა, რაც სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს ემუქრებოდა. ამჟამად ის ტერიტორიები, რომლებზეც სხვადასხვა სახელმწიფოთა იმპერიალისტების გაერთიანებული ძალებით შექმნილი იყო მძლავრი პლაცდარმი საბჭოების ქვეყანაზე თავდასასხმელად — საბჭოთა ტერიტორიებად გადაიქცნენ. სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წლის 12 მარტს დადებული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, ეს მიწები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვიდა. ომის კერიდან ისინი გადაიქცნენ მშვიდობიანობის დასაყრდენად, ჩვენი ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების უშიშროების დასაყრდენად, ისინი სამუდამოდ გადაიქცნენ მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად.

ბუნებრივია, რომ ფინეთის ტერიტორიის ნაწილის სსრ კავშირის ხელში გადმოსვლის შემდეგ დადგა საკითხი ახალი მიწების მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. კარელიის რესპუბლიკის მშრომელებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ეს ტერიტორიები შევიდნენ კარელიის შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა დაეთანხმა ამ კანონიერ და სამართლიან სურვილს. ამასთან იგი ხელმძღვანელობდა იმ ძირითადი პრინციპით, რომელიც საფუძვლად უდევს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ წყობილებას, —ჩვენს სამშობლოში მოსახლე ყველა ეროვნების თავისუფალი განვითარების ლენინურ - სტალინური პრინციპით. საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის განსახილველად წარდგენილ და გუშინ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ ერთხმად დამტკიცებულ კანონში ჩაწერილია: ფინეთისაგან სსრ კავშირის ხელში გადმოსული ტერიტორია, გარდა მცირე ზოლისა, რომელიც უშუალოდ ლენინგრადს აკრავს, გადაცემულ იქნას კარელიის ასს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის ქალაქები ვიბორგი, ანტრეა, კექსჰოლმი, სორტავალა, სუოიარვი, კუოლაიარვი.

მხოლოდ თავისუფალ სოციალისტურ ქვეყანაში სწყდება ნაციონალური საკითხი ასე ადვილად და სწრაფად, თვითეული ხალხის ინტერესებთან სრული შესაბამისობით. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალა და ძლიერება, უძლეველობა და სიმტკიცე მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველჰყოფს თავისუფალ შემოქმედებითს სახელმწიფოებრივ განვითარებას ყველა დიდი და მცირე ხალხებისათვის, რომლებიც მოსახლეობენ სსრ კავშირში — კარპატებიდან წყნარ ოკეანემდე. „იმპერიალისტური მონობის, ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრის ეპოქაში, ჩაგვრისა, რომელიც უაღრესად გამწვავდა იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, იმ ხანაში, როცა მცირე სახელმწიფოთა უფლებები და ინტერესები მხოლოდ ხურდა ფულს წარმოადგენენ იმპერიალისტთა ხელში, ახალი მოკავშირე რესპუბლიკის შექმნა განსაკუთრებული ძალით უსვამს ხაზს ძირითად უპირატესობებს საბჭოთა წყობილებისას, რომელიც მცირე ხალხთათვის უზრუნველჰყოფს თავისუფალი ნაციონალური განვითარების სრულ შესაძლებლობას". (ჟდანოვი).

ეჭვი არ არის, რომ ახლად შექმნილი, მეთორმეტე მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელები—კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დიდი სიხარულით შეხვდებიან ისტორიულ კანონს, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ეკონომიური, კულტურული განვითარებისათვის კიდევ უფრო წარმტაც პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს იძლევა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში კარელია ველური მხარიდან, მეფის ჩამორჩენილი კოლონიიდან გადაიქცა აყვავებულ ქვეყნად, რომელიც განუწყვეტლივ ავითარებს თავის მეურნეობას, თავის კულტურას. კარელია აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეთა ქვეყანაა. მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი მერქანია მის უზარმაზარ ტყეებში. ტყე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგია. უდიდესია სასარგებლო წიაღისეულთა—დიაბაზის, შპატის, კვარცის, გრანიტის, მარმარილოს, ქარსის მარაგი. ქარსის მოპოვების მხრივ კარელიას საბჭოთა კავშირში ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს. კარელიის მიწის წიაღში ბევრია სხვადასხვა მადნეული — თუთია, ტყვია, სპილენძი, ვერცხლი, მოლიბდენი, კალა, ბარიტი და სხვ.

ბუნებრივ სიმდიდრეთა მოკლე აღწერა სრულებითაც ვერ ამოსწურავს ყოველივე იმას, რაც დაფარულია კარელიის წიაღში, ტბებში, მდინარეებში, ტყეებში. ეს სიმდიდრეები ასეულ და ათასეულ წლობით ხელუხლებელი რჩებოდა. მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნა პირობები მათი სრული და რაციონალური გამოყენებისათვის. აქ იწყება ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების მშენებლობა. სტალინური ხუთწლედების მანძილზე კარელიაში აგებულია ოცზე მეტი სამრეწველო საწარმო. 1938 წელს ამუშავდა კონდოპოჟის პეგმატიტის ქარხანა — საბჭოთა კავშირში პეგმატიტის გადამამუშავებელი ერთადერთი საწარმო. 1939 წლის პირველ კვარტალში მწყობრში შევიდა სეგეჟის ქაღალდცელულოზის კომბინატი (პირველი რიგი). კომბინატი მოწყობილია უახლესი ტექნიკით და იგი ყოველწლიურად გამოუშვებს მრავალ ათეულ ათას ტონა სასაქონლო ცელულოზას, ქაღალდს და სხვა პროდუქციას. კომბინატის გვერდით შენდება ოთხჩარჩოიანი ხე-ტყის ქარხანა. კარელიის მეურნეობის ზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თეთრზღვა-ბალტიის ზღვის არხს.

ოლონეცის გუბერნიაში (ახლანდელი კარელია) რევოლუციამდე სოფლის მეურნეობა მეტისმეტად ჩამორჩენილი, პრიმიტიული და ნაკლებნაყოფიერი იყო. გლეხთა უდიდესი მასა განწირული იყო ნახევრადმშიერი არსებობისათვის. მაგრამ ეს წყეული დრო სამუდამოდ წავიდა. ამჟამად დაქუცმაცებულ წვრილ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად შექმნილია მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ცარიზმი კარელ ხალხს სიბნელეში ამყოფებდა და ყოველნაირად აფერხებდა მის კულტურულ განვითარებას. 1913 წელს ოლონეცის გუბერნიის მოსახლეობის წერაკითხვის მცოდნეობა განისაზღვრებოდა 44 პროცენტით, სოფლის მოსახლეობაში კი იგი მხოლოდ 23 პროცენტს შეადგენდა. ოლონეცის გუბერნიის კარელებს შორის წერაკითხვის მცოდნე იყო მხოლოდ 13 პროცენტი.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა უზრუნველჰყვეს კარელიის კულტურული ზრდა. კარელიის მოსახლეობის წერაკითხვის მცოდნეობა ამჟამად 95 პროცენტს აღწევს. დიდ მიღწევას წარმოადგენს შექმნა ლიტერატურული კარელური ენისა, რომელზედაც კარელთა ბავშვები სწავლობენ. კარელიაში გახსნილია 3 უმაღლესი სასწავლებელი და 12 ტექნიკუმი. გამოდის 28 ნაბეჭდი გაზეთი და ორი ჟურნალი. რესპუბლიკის თვითეულ რაიონში არის თავისი გაზეთი.

კარელიის ასს რესპუბლიკის გარდაქმნა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, ახალი მოკავშირე რესპუბლიკისათვის გადაცემა ფინეთისაგან ჩვენს ხელში გადმოსულ ტერიტორიაზე არსებული მრეწველობისა (გარდა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა მცირე რაოდენობისა) შესაძლებელს ხდიან რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურის, მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო სწრაფ წინწაწევას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ამხ. სოლიაკოვმა და გორბაჩევმა, კარელი ხალხის წარმომადგენლებმა, უმაღლესი საბჭოს VI სესიის მაღალი ტრიბუნიდან პირობა მისცეს მთელ ჩვენს ქვეყანას, მთავრობას, პარტიას, ამხანაგ **სტალინს**, რომ ახალი მოკავშირე რესპუბლიკა მთელ ძალღონეს იხმარს, რათა მოწინავეთა რიგებში გამოვიდეს. ისინი გამოხატავდნენ კარელიის ყველა მშრომელთა მისწრაფებასა და გრძნობებს. **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით ახალი მოკავშირე რესპუბლიკა—კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკებთან ერთად წავა კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

„პრავდის" მოწინავე, 1/IV.

უცხოეთის პრესის გამოძახილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ჩინეთი

ჩუნცინი, 31 მარტი (საკდესი). გაზეთი „ძუნიანჯიბაო", კომენტარებს უკეთებს რა ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას, სწერს: „მოლოტოვის მოხსენება არის კარგი განმარტება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა. საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროპაში. განსაკუთრებით დიდია სსრ კავშირის გავლენა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. მთელი მსოფლიო აღიარებს იმ მუშაობისა და ღონისძიებათა ღირებულებას, რაც საბჭოთა კავშირმა ჩაატარა მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში".

შანხაი, 31 მარტი (საკდესი). დილის თითქმის ყველა ჩინურმა გაზეთმა შანხაიში დღეს დაბეჭდა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების პირველი ნახევარი შემდეგი სათაურით: „სსრ კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა ხელს უშლის ევროპის ომის გაფართოებას". ყველა გაზეთმა გამოაცხადა, მოხსენების გაგრძელება დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

თურქეთი

ანკარა, 31 მარტი (საკდესი). თურქულმა პრესამ ვრცლად გამოაქვეყნა ამხ. მოლოტოვის მოხსენება. გაზეთმა „ჯუმჰურიეთმა" შემდეგი სათაურებით მოათავსა მოხსენება: „მოლოტოვმა მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა. მოლოტოვმა სთქვა, რომ მანერჰაიმის ხაზზე სსრ კავშირი ყველა იმპერიალისტთან აწარმოებდა ომს. მოლოტოვი აღნიშნავს, რომ რუსეთს აგრესიული განზრახვები არა ჰქონია. სსრ კავშირსა და თურქეთს შორის არ არსებობს არავითარი კონფლიქტი. სსრ კავშირი თვალყურს ადევნებს იმას, რომ მისი მეზობლები არ გადაიქცნენ მტრული მოქმედების იარაღად". მოხსენების ის ნაწილი, რომელიც სსრ კავშირისა და მისი სამხრეთი მეზობლების ურთიერთობას შეეხება, გაზეთმა მთლიანად და კურსივით მოათავსა. გაზეთი ათავსებს აგრეთვე ამხ. მოლოტოვის მოხსენების მთელ რიგ სხვა ნაწილებს და ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მოლოტოვის განცხადებას, რომ წითელმა არმიამ ცხადჰყო თავისი ძალა და რომ სსრ კავშირი მომავალშიც განამტკიცებს თავის თავდაცვას.

გაზეთი „ტანი" შემდეგი სათაურით ათავსებს ამხ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსს: „მოლოტოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირი არ ჩაებმება ომში. ირანთან და თურქეთთან ურთიერთობის შესახებ საბჭოთა კავშირის პრემიერმა განაცხადა, რომ ეს ურთიერთობა ემყარება თავდაუსხმელობის პაქტებს და რომ სსრ კავშირს განზრახული აქვს შეასრულოს თავისი ვალდებულებანი".

გაზეთმა „რეპუბლიკმა" და „ჟურნალ დ'ორიენმა" პირველ გვერდზე მოათავსეს ამხ. მოლოტოვის მოხსენების მოკლე შინაარსი, აგრეთვე ამხ. მოლოტოვის პორტრეტი.

ჰოლანდია

ბერლინი, 31 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ჰააგიდან იტყობინება, რომ ჰოლანდიური გაზეთების უმეტესობა დიდრონი სათაურით დაწვრილებით გადმოგვცემს ამხ. მოლოტოვის მოხსენებას. ჰოლანდიის საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას უთმობს ამხ. მოლოტოვის მოხსენებას. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ მოლოტოვის ნათქვამს სკანდინავიის „თავდაცვითი კავშირის" შესახებ.

თბილისის მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას

გუშინ თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმო-დაწესებულებებში მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ გაკეთებულ მოხსენებისადმი. მიტინგებზე გამოსული ჩვენი დიადი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები თავის სიტყვებში ერთსულოვნად მიესალმებოდნენ და იწონებდნენ სახელოვანი საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას.

ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივი შეიკრიბა სახელდახელო მიტინგზე, რომელზეც დიდი ყურადღებით და აღფრთოვანებით მოისმინეს ინფორმაცია მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შესახებ.

სიტყვით გამოვიდა ამწყობი სამქროს ბრიგადირი ამხ. ნ. სტეფანოვი.

— ჩვენმა დევგმირმა მეომრებმა,—განაცხადა ამწყობი სამქროს ინჟინერმა ამხ. გ. კაჭკაჭიშვილმა, — მთელ მსოფლიოს უჩვენეს საბჭოთა კავშირის ძალა და ძლიერება. მათ დალეწეს „მანერჰაიმის ხაზის" სიმაგრეები, რომლებიც მიუვალად იყო აღიარებული. ჩვენი სამქროს კოლექტივი ვალდებულებას იღებს სამშობლოს მისცეს მეტი ჯანსაღი ორთქლმავლები, ყველა დაეუფლოს ტყვიამფრქვევისა და შაშხანის ზუსტად სროლას.

პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ხარატმა გლ. ჩერკასოვმა, ოსტატმა ე. კოჩეტკოვმა და სხვ., რომლებიც ერთსულოვნად იწონებდნენ საბჭოთა კავშირის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, მიძღვნილი ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ბრწყინვალე მოხსენებისადმი, მაღალი აქტივობის ნიშნით ჩატარდა.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: — თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს კოლექტივი პირობას აძლევს ბოლშევიკების პარტიასა და ხელისუფლებას, რომ არ დაზოგავს ძალას შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საწარმოო - საფინანსო გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის, უძლეველი საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის შესანიშნავმა მოხსენებამ. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებისადმი მიძღვნილ მიტინგზე აღმაფრთოვანებელი სიტყვით გამოვიდნენ სტახანოველი მქსოველი თ. ქემაშვილი, სტახანოველი ზეინკალი თ. რამაზიშვილი, ქვეოსტატი ა. მამაჯანოვა და სხვ.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ

დეპუტატ ა. ა. ჟდანოვის მოხსენება

ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, ფინეთისაგან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელში გადმოვიდა ახალი ტერიტორიები, მათ შორის მთელი კარელიის ყელი ქ. ვიბორგით (ვიპური) და ვიბორგის ყურით მისი კუნძულებითურთ, ლადოგის ტბის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპირო ქალაქებით კექსჰოლმით, სორტავალათი და სუოიარვითურთ, მერკიარვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ქალაქ კუოლაიარვითურთ. როგორც ცნობილია, ეს ტერიტორიები და განსაკუთრებით კარელიის ყელი ახლოხანამდე წარმოადგენდნენ სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ პლაცდარმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე და, პირველ რიგში, ლენინგრადზე სამხედრო თავდასხმისათვის. ახლა, როცა ჩვენი წითელი არმიის გმირულ გამარჯვებათა შედეგად, რომელმაც ფინეთთან ომში დაამარცხა ფინეთის არმია, ხოლო მასთან ერთად საბჭოთა კავშირისადმი ყველაზე მტრულად განწყობილი მთელი რიგი იმპერიალისტური ქვეყნების შეერთებული ძალები, ჩვენს ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრებზე ლიკვიდირებულია ომის უსაშიშროესი წყარო, თვითონ ამ ტერიტორიებს სულ სხვა დანიშნულება ეძლევათ, ვიდრე მათ დღემდე აკუთვნებდნენ. ომის კერის ნაცვლად ისინი ახლა გადაქცეული არიან მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენად, უწინარეს ყოვლისა, ლენინგრადის, აგრეთვე მურმანსკისა და მურმანსკის რკინიგზის უშიშროების დასაყრდენად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელში ახალი ტერიტორიების გადმოსვლა, ბუნებრივია, აყენებს მათი ყველაზე უფრო მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მათი სამეურნეო და კულტურული განვითარების გზების საკითხს.

ეს ტერიტორიები, მცირეოდენი გამოკლებით, აკრავან კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და უახლოვდებიან მას როგორც ბუნებრივი და ისტორიული პირობების ხასიათით, ისე თავიანთი სახალხო-სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით.

ამიტომ, ფინეთისაგან სსრ კავშირის ხელში გადმოსული ახალი ტერიტორიების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის განხილვისას, სახალხო კომისართა საბჭომ სავსებით მიიღო მხედველობაში კარელიის რესპუბლიკის მშრომელთა კანონიერი და სამართლიანი სურვილები იმის შესახებ, რომ ფინეთისაგან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელში გადმოსული ტერიტორიები, მცირეოდენი ზოლის გამოკლებით, რომელიც უშუალოდ ლენინგრადს აკრავს, გადაცემულ იქნას კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის გადაცემულ იქნას ქალაქები: ვიბორგი, ანტრეა, კექსჰოლმი, სორტავალა, სუოიარვი, კუოლაიარვი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს შემოაქვს სათანადო წინადადება უმაღლესი საბჭოს განსახილველად. ამ წინადადებიდან, თუ იგი უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნება, გამომდინარეობს მეორე წინადადებაც, აგრეთვე კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სურვილებზე დაფუძნებული — კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ **(ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი არსებობის მე-20 წელში შევიდა. 1920 წელს კარელმა ხალხმა დასაბამი მისცა თავის ნაციონალურ ავტონომიას. 1921 და 1922 წლებში თეთრფინელებთან ბრძოლებში კარელმა ხალხმა, რუსი ხალხის დახმარებით, შეინარჩუნა თავისი უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარებისა საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ.

თავისი არსებობის წლების განმავლობაში კარელიის ასს რესპუბლიკა აყვავებულ საბჭოთა ქვეყნად გადაიქცა. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კარელმა ხალხმა რუსი ხალხის ძმური დახმარებით დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში და თავისი ნაციონალური კულტურის შექმნაში **(ტაში).** კარელია, ყოფილი მეფის რუსეთის ოდესღაც ჩამორჩენილი განაპირა კუთხე, რომელიც მეფის იმპერიალიზმის კოლონიას წარმოადგენდა, გადაიქცა ისეთ ქვეყნად, სადაც სწრაფად ვითარდება მრეწველობა და სატყეო მეურნეობა, ქვეყნად, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ხალხის მასების კულტურის ზრდასა და მათი კეთილდღეობის აღმავლობაში.

საბჭოთა ავტონომია, ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, არ არის რაღაც გაყინული და ერთხელდასამუდამოდ მოცემული რამ, იგი გულისხმობს თავისი განვითარების სულ სხვადასხვანაირ ფორმებსა და საფეხურებს.

კარელიის შემადგენლობაში ახალი ტერიტორიების მოქცევას ახალ საფეხურზე აჰყავს მისი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა და ახალ დიდ ამოცანებს სახავს კარელიის წინაშე მისი ნაციონალური სახალხო-სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეში. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, ისე როგორც კარელიის მშრომელებს, მიაჩნია, რომ ეს ახალი ამოცანები წარმატებით იქნება გადაჭრილი კარელიის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი არსებობის ახალ ფორმებში — კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მიიღო ზომები იმისათვის, რომ სსრ კავშირის ხელში გადმოსული რაიონები დაუკავშიროს კარელიის ძირითად რაიონებს. უკვე გაყვანილია პეტროზავოდსკ-სუოიარვის რკინიგზა, რომელიც კარელიის დედაქალაქს ქ. პეტროზავოდსკსა და მურმანსკის რკინიგზას აკავშირებს სორტავალა-ვიბორგის რკინიგზის მაგისტრალთან. შემდეგ, შენდება და მალე დამთავრდება რკინიგზის ხაზი კანდალაკშიდან კუოლაიარვიმდე. ეს ხაზი ძირითად კარელიას დააკავშირებს სსრ კავშირის ხელში გადმოსულ ტერიტორიასთან კუოლაიარვის რაიონში.

იმ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმონი, რომელიც მეტანილ უნდა იქნას კარელიის შემადგენლობაში, გარდა საწარმოთა მცირე რაოდენობისა, რომელთაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ, გადაცემული იქნება კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის განკარგულებაში.

რამდენიმე სიტყვა კარელიის რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის საკითხის შესახებ მისი მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნასთან დაკავშირებით. რაიონები, რომლებიც კარელიის ხელში გადადის, არის არა მარტო კარელური, არამედ აგრეთვე ნაწილობრივ წმინდა ფინური რაიონები. ფინელი და კარელი ხალხი სისხლით და ხორცით რასიულ-ნაციონალური ერთიანობითაა დაკავშირებული. კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის გარდაქმნა კარელია-ფინეთის რესპუბლიკად ხელს შეუწყობს ამ ორი ნათესავი ხალხის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ განვითარებას და მათი ძმური თანამეგობრობის განმტკიცებას. იგი ბოლოს მოუღებს მტრობას და შუღლს ამ ორ ხალხს შორის, რასაც მრავალი წლის მანძილზე ნერგავდნენ ფინელ და კარელ ხალხთა მტრები.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სახალხო კომისართა საბჭომ დამავალა წარმოვუდგინო უმაღლეს საბჭოს განსახილველად პროექტი შემდეგი კანონისა კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

ვაქვეყნებ პროექტს კანონისას:

„კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კარელია-ფინეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ"

აკმაყოფილებს რა კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სურვილს და ხელმძღვანელობს რა ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ტერიტორია, რომელიც სსრ კავშირისა და ფინეთის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ფინეთისაგან სსრ კავშირის ხელში გადმოვიდა, გარდა მცირეოდენი ზოლისა, რომელიც უშუალოდ ეკვრის ლენინგრადს, გადაცემულ იქნას კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის გადაცემულ იქნას ქალაქები: ვიბორგი, ანტრეა, კექსჰოლმი, სორტავალა, სუოიარვი, კუოლაიარვი.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარდაიქმნას მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

3. გადაცემულ იქნას კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში იმ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმონი, რომელიც ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად კარელიის შემადგენლობაში გადადის, გარდა საწარმოთა მცირე რაოდენობისა, რომელთაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

4. ეთხოვოს რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად რსფს რესპუბლიკასა და კარელია - ფინეთის სს რესპუბლიკას შორის ზუსტი საზღვრის დაწესების პროექტი.

5. სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34 და 35 მუხლების შესაბამისად ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები კარელია - ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან.

6. მიენდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დღე.

7. ამ კანონის შესაბამისად შეტანილ იქნას დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 13 მუხლში, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შექმნილი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე:

რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკისა,

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

კაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა".

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულია, რომ ამ კანონს ერთსულოვნად მოიწონებს ორივე პალატა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად მოასწავებს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ დიდ გამარჯვებას, იმ პოლიტიკისას, რომელიც უზრუნველჰყოფს ეროვნებათა თანასწორობას, ყველა ხალხთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და ძმურ თანამეგობრობას.

თავისი ნაციონალურ - სახელმწიფოებრივი არსებობის ახალ ფორმებში კარელ-ფინელი ხალხი კიდევ უფრო განავითარებს იმ დიდ შემოქმედებითს ნიჭს, რომელიც მას გააჩნია, კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ უფრო მეტი წარმატებით გასწევს წინ სტალინური კონსტიტუციის დროშით. **(ტაში).**

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახს შეემატება ახალი მოკავშირე რესპუბლიკა. ეს ნიშნავს ახალ ნაბიჯს ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში.

იმპერიალისტური მონობის, ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრის ეპოქაში, ჩაგვრისა, რომელიც უაღრესად გამწვავდა იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, იმ ხანაში, როცა მცირე სახელმწიფოთა უფლებები და ინტერესები მხოლოდ ხურდა ფულს წარმოადგენენ იმპერიალისტთა ხელში, ახალი მოკავშირე რესპუბლიკის შექმნა განსაკუთრებული ძალით უსვამს ხაზს ძირითად უპირატესობებს საბჭოთა წყობილებისას, რომელიც მცირე ხალხთათვის უზრუნველჰყოფს თავისუფალი ნაციონალური განვითარების სრულ შესაძლებლობას.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მოკავშირე კარელია - ფინეთის რესპუბლიკა იქნება არა მარტო მტკიცე დასაყრდენი მშვიდობიანობისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უშიშროებისა მის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე, არამედ აგრეთვე ერთერთი მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკა. **(ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სხდომების შესახებ

დღეს, 2 აპრილს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება კავშირის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

დღეს, 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება

მომხსენებელი დეპუტატი მ. ა. ბურმისტენკო

ამხანაგო დეპუტატებო! ექვსი თვის წინათ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხების ცხოვრებაში ისტორიული ცვლილება მოხდა. მამაცმა წითელმა არმიამ საბჭოთა მთავრობის დავალებით გაანთავისუფლა დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხები კაპიტალისტური მონობისაგან **(ტაში)**, ავბედითი ომისაგან, რომელშიაც ისინი პოლონეთის რეგვენმა მთავრობამ ჩააბა, და მოუტანა მათ მშვიდობიანობა, სრული ნაციონალური და პოლიტიკური თავისუფლება, ნამდვილი თავისუფლება და ახალი სასიხარულო ცხოვრება.

განთავისუფლებულმა ხალხებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ისინი შეუერთდნენ საბჭოების ქვეყნის დიად სოციალისტურ ოჯახს და დადგნენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის დროშებქვეშ.

1940 წლის 24 მარტს მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ, რასობრივი და ნაციონალური კუთვნილების მიუხედავად, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს თავიანთი დეპუტატები ეროვნებათა საბჭოში. ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის მიერ არჩეულმა სამანდატო კომისიამ, სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის საფუძველზე, შეამოწმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ თვითეულ დეპუტატზე წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 48-ე მუხლის „ი“ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, სახელდობრ: დეპუტატთა რეგისტრაციის ოქმების თანაყოფიერება და ხმის მიცემის ოქმების თანაყოფიერება.

უკრაინის სს რესპუბლიკის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებში შექმნილი იყო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 12 საარჩევნო ოლქი.

სამანდატო კომისიამ, თვითეული დეპუტატის დოკუმენტებისა და მასალების შემოწმების შემდეგ, დაადასტურა, რომ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 12 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ საფუძველზე და შესაბამისად.

სამანდატო კომისიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ არავითარი საბაბი არ არსებობს რომელიმე ოლქში არჩევნების გასაუქმებლად, ისევე, როგორც არ შემოსულა არავითარი საჩივრები და განცხადებანი, რომლებიც საეჭვოდ ხდიდნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებს რომელიმე ოლქში.

უკრაინის სს რესპუბლიკის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების მშრომელთა მიერ ეროვნებათა საბჭოში წარმოგზავნილი არიან განთავისუფლებული ხალხის საუკეთესო ადამიანები, ხალხისა, რომელიც თავის თვისტომ ძმებს შეუერთდა ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში. დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებმა თავის თავზე გამოსცადეს პოლონეთის პანების მხრივ უმძიმესი პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრა. ახლა, როდესაც ეს ჩაგვრა და უთანასწორობა მოსპობილია, საბჭოთა უკრაინის და საბჭოთა ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ხალხებს საშუალება მიეცათ თავისუფლად განავითარონ ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური თავისი კულტურა.

ეროვნებათა საბჭოში არჩეულ დეპუტატთა შორის არიან უკრაინელები, ბელორუსები, პოლონელები. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშა — 3 კაცი, ანუ 25 პროცენტი, გლეხი — 3 კაცი ანუ 25 პროცენტი, ინტელიგენტი — 6 კაცი ანუ 50 პროცენტი. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების შემადგენლობაში არის 11 მამაკაცი და ერთი ქალი. ცნობები ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ მოწმობენ, რომ ასაკი დეპუტატთა მეტი ნაწილისა 40 წელს არ აღემატება, სახელდობრ: 26-დან 40 წლამდე — 10 კაცია, 40 წელზე მეტი — 2 კაცი.

ეროვნებათა საბჭოში არჩეულ დეპუტატთა შორის უმაღლესი განათლება აქვს 3 კაცს ანუ 25 პროცენტს, საშუალო განათლება — 2 კაცს ანუ 16,7 პროცენტს, დაბალი განათლება — 7 კაცს ანუ 58,3 პროცენტს.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს შორის არიან სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი — 4 კაცი ანუ 33,3 პროცენტი და უპარტიო — 8 კაცი ანუ 66,7 პროცენტი.

იმ სამუშაოს ხასიათის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ, არჩეულ დეპუტატთა შორის არის 2 პარტიული მუშაკი, 8 საბჭოთა მუშაკი, 1 მასწავლებელი და 1 გლეხი, რომელიც სოფლის მეურნეობაში მუშაობს.

ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეულ დეპუტატთაგან ბევრი მრავალი წლის განმავლობაში შეუპოვრად და თავდადებით იბრძოდა ყოფილ პოლონეთში კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ. ისინი მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, რაზმავდნენ მასებს მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, განიცდიდნენ რეპრესიებს პოლიციის მხრივ, მათ აბუჩად იგდებდნენ, სცემდნენ, საპატიმროებში ამწყვდევდნენ. მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ გასტეხა მათი ნებისყოფა ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ახლა ხალხის მასებმა წამოაყენეს ისინი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, როგორც უკეთესნი უკეთესთა შორის, როგორც მშრომელთა საქმის ყველაზე ერთგული ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი აქტიურად ებრძოლონ ხალხის მტრებს, იბრძოლონ სოციალიზმის საქმისათვის, მხარდამხარ იარონ ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრულ მრავალეროვან ოჯახთან ერთად.

უკრაინის სს რესპუბლიკის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან — 7.966.923 კაციდან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 7.895.861 კაცმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა რიცხვის 99,1 პროცენტს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა 12 საარჩევნო ოლქში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 7.743.965 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა მთელი რიცხვის 98,07 პროცენტს.

უკრაინის დასავლეთი ოლქებისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, რაც წარმოადგენს იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, რომ დასავლეთ ბელორუსიის და დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებული ხალხები უდიდესი, უსაზღვრო ნდობით ეკიდებიან ლენინ-სტალინის დიად პარტიას, საბჭოთა მთავრობას, პარტიისა და სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ — ჩვენს ბრძენ ამხანაგ სტალინს. **(ყველანი ფეხზე დგებიან, მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).**

ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთი ოლქების მშრომელებმა ხმა მისცეს ახალ ბედნიერ ცხოვრებას, სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, სოციალიზმის მშენებლობას, ლენინ-სტალინის ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საერთაშორისო პოლიტიკას. მათ ხმა მისცეს ომის წინააღმდეგ, მისი გამჩაღებლების წინააღმდეგ, მათთვის საძულველი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის მიერ არჩეულმა სამანდატო კომისიამ შეამოწმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებანი და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან არჩეულ თვითეულ დეპუტატზე ყველა წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტი და მასალა.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც შემოაქვს თქვენს განსახილველად.

„შეამოწმა რა ცალ-ცალკე თვითეული დეპუტატის ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მთელი მასალები, რომლებიც წარმოდგენილია უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია აღნიშნავს:

1. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დასავლეთ ოლქების ყველა 12 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ საფუძველზე და სრულ შესაბამისად.

2. არ არსებობს არავითარი საფუძველი არჩევნების გასაუქმებლად, აგრეთვე არ შემოსულა არავითარი საჩივრები და განცხადებანი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების დროს რომელიმე საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია სწორად სცნობს ეროვნებათა საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებებს, რომლებიც არჩეული არიან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიას“ 1940 წლის 28 მარტის 72 ნომერში.

დეპუტატ მ. დ. ბაგიროვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. მოლოტოვის მოხსენება საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, მთლიანად და სავსებით გამომდინარეობს ჩვენი თანამიმდევრობითი სამშვიდობო პოლიტიკიდან.

ხელმძღვანელობდა რა მშვიდობიანობის სტალინური პოლიტიკით, საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის შემდეგ გასული დროის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომ განმტკიცების და საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში საბჭოთა კავშირის როლის ამაღლების მხრივ.

ომის ინგლისელ-ფრანგი გამჩაღებლები შეეჩვივნენ სხვის კისერზე ჯდომასა და სხვისი ხელით ნარის გლეჯას. ისინი მთელი ძალღონით ცდილობდნენ და ცდილობენ გააფართოონ მათ მიერ დაწყებული იმპერიალისტური ომი, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ქვეყნები ჩააბან ომში, ყოველი ძალღონითა და საშუალებით ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

განუხრელად ახორციელებდა რა ამხანაგი სტალინის მითითებებს, რომლებიც მან XVIII ყრილობაზე მოგვცა საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი პარტიის ამოცანების შესახებ, საბჭოთა მთავრობა ფუშავდა ომის ინგლისელ-ფრანგ და სხვა გამჩაღებელთა გეგმებს.

ომის პროვოკატორთა პოლიტიკის წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, როგორც ამხ. მოლოტოვის ამომწურავი მოხსენებიდან გავიგონეთ, მთლიანად მიმართულია ომის წინააღმდეგ, მისი გაჩაღების წინააღმდეგ. ეს გამოხატავს არა მარტო ჩვენი ხალხის ნებასა და სურვილს, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა ნებასა და სურვილსაც.

სწორედ ომის შემდგომი გაჩაღების თავიდან აცილების სურვილითა და საბჭოთა მთავრობის სტალინური პოლიტიკის განხორციელებით უნდა ავხსნათ ის დათმობა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ თავის დროზე შესთავაზა ფინეთის მთავრობას იმისათვის, რომ მშვიდობიანი გზით გადაჭრილიყო ჩვენი ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრებისა და ლენინგრადის უშიშროების საკითხები. საბჭოთა მთავრობამ საკითხთა მშვიდობიანი გზით გადაჭრის ყველა შესაძლებლობა ამოსწურა, და მხოლოდ ამის შემდეგ იძულებული გახდა გამოეყენებინა ძალა.

ამხანაგო დეპუტატებო! მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მთავრობის დავალება ჩინებულად შეასრულა **(ტაში)**. წითელმა არმიამ და წითელმა ფლოტმა კვლავ მოიხვეჭეს სახელი და ყველას დაუმტკიცეს, რომ სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის არ არსებობს მიუვალი ციხე-სიმაგრენი. ყოველივე იმან, რასაც იმპერიალისტური სახელმწიფოები და თეთრფინელთა გაერთიანებული ძალები წლობით აკეთებდნენ დაუძლეველ დაბრკოლებათა შესაქმნელად, ვერ შეაკავა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლევამოსილი სვლა. არა მარტო თეთრფინელებმა, არამედ ომის პროვოკატორებმა, მათმა მასწავლებლებმაც მორიგი საგნობრივი გაკვეთილი მიიღეს.

ფინეთის ამბებმა და ფინეთის რესპუბლიკასთან 12 მარტს საზავო ხელშეკრულების დადებამ კვლავ და კვლავ დაადასტურა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენ ომი არა გვსურს, მაგრამ მზად ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას.

ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრებისა და ჩვენი ლენინგრადის უშიშროებას. ჩვენ გვინდოდა მშვიდობიანი გზით მიგვეღწია ამისათვის, მაგრამ იძულებული გვყვეს ძალით მიგვეღწია. ამხანაგებო! ფინეთთან ომში ჩვენი სამშობლოს არა ერთი სახელოვანი შვილი როდი დავკარგეთ. მრავალი მათგანი გმირული სიკვდილით დაიღუპა თავისი სამშობლოს დაცვის დროს.

ჩვენი დაღუპული ძმების ხსოვნა, ჩვენს მებრძოლთა მიერ დაღვრილი სისხლი წარმოადგენს მოწოდებას იმისათვის, რომ უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის სტალინური მზრუნველობით ჩვენ კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ძალა და ძლიერება, ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრები, რომელთა გრანიტზედაც ცხვირპირს დაიმტვრევენ ომის გამჩაღებლები **(ტაში)**.

ამხანაგო დეპუტატებო! ვინაიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკა ამომწურავად ნათელი და თანამიმდევრულია, შემომაქვს შემდეგი წინადადება:

1) არ გაიხსნას კამათი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო.

2) ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილება:

„მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა“ **(ტაში)**.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1940 წლის 1 აპრილის სხდომის შესახებ

გუშინ, 1 აპრილს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.**

კავშირის საბჭო ისმენს დღის წესრიგის მესამე პუნქტის — სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებას, რომელსაც აკეთებს დეპუტატი **ქ. ი. ნიკოლაევა.**

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის კამათზე სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ტ. ი. კულიევი** (საბირ-აბადის ოლქი, აზერბაიჯანის სსრ) და **ლ. რ. კორნიეცი** (კამენ-კაშირსკის ოლქი, ვოლინის ოლქი, უკრაინის სსრ), უზბეკეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. აბდურახმანოვი**, რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ა. ა. პეკშევი**, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. **გ. ა. მიტერევი**, დეპუტატები: **ტ. ვ. ფედოროვა** (საბჭოს ოლქი, ქალ. მოსკოვი) და **ა. ს. ფირუზიანი** (კიროვაკანის ოლქი, სომხეთის სსრ).

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს VI სესიის მეორე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 1 აპრილის სხდომის შესახებ

გუშინ, 1 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ჩ. ა. ასლანოვა.**

ეროვნებათა საბჭო ისმენს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვის** თანამოხსენებას დღის წესრიგის მესამე პუნქტის — სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის კამათზე სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ვ. გ. ვანეევი** (მინსკის საქალაქო ოლქი, ბელორუსიის სსრ), **მ. ქ. დელბა** (გუდაუთის ოლქი, აფხაზეთის ასსრ) და **მ. ნურბაევი** (უზგენის ოლქი, ყირგიზეთის სსრ), სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **პ. ვ. სმირნოვი**, დეპუტატები: **მ. ავეზოვა** (ლენინაბადის საქალაქო ოლქი, ტაჯიკეთის სსრ) და **ზ. ხ. ხარისოვი** (ბუგულმის ოლქი, თათრეთის ასსრ) და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ს. ვ. კაფტანოვი.**

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესიის მეორე სხდომა.

კავშირის საბჭოს 1 აპრილის სხდომა

1 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია განაგრძობს მუშაობას. დილის 11 საათზე იხსნება კავშირის საბჭოს სხდომა. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან თავმჯდომარის მაგიდასთან კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ა. ა. ანდრეევის, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა დეპუტატების ტ. დ. ლისენკოსა და უსმან იუსუფოვის, ხოლო ლოჟებში—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით მთავრობის წევრების გამოჩენას.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ტ. დ. ლისენკო.

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებას დღის წესრიგის მესამე საკითხზე—სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ აკეთებს დეპუტატი ქ. ი. ნიკოლაევა. იგი აღნიშნავს, რომ კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ გულდასმით განიხილა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი და იძლევა თავის დასკვნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად შეტანილი ბიუჯეტის შესახებ.

— სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს მომხსენებელი, — შედგენილია მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის სრულ შესაბამისად და მიმართულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად ამოცანათა, განხორციელებისაკენ. ეს ამოცანები გამომდინარეობენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებიდან.

დეპუტატი ნიკოლაევა დაწვრილებით ლაპარაკობს ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილის ცალკეულ მუხლებზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ სრულიად მართებულად დასახა 1940 წლის ბიუჯეტით ხარჯების წარმართვა, გადასდო რა დაახლოებით 100 მილიარდი მანეთი სახალხო მეურნეობისა და სოციალურ - კულტურული ღონისძიებებისათვის და აბანდებს რა უდიდეს სახსრებს კაპიტალურ მშენებლობაში. მომხსენებელი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული დიდი ასიგნობანი უზრუნველჰყოფენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში.

დეპუტატმა ნიკოლაევამ, აცნობა რა სესიას, რომ კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ სსრ კავშირის ფინსახკომის მუშაკთა და აგრეთვე სახკომატებისა და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით დეტალურად განიხილა 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და რომ იგი იწონებს ამ ბიუჯეტს, კავშირის საბჭოს განსახილველად შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო სესიას საბიუჯეტო კომისიის მოსაზრებანი ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესახებ და წინადადება შეიტანა გადიდებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 1.371.700 ათასი მანეთით და საგასავლო ნაწილი 700 ათასი მანეთით და დამტკიცებულ იქნას ყველა ცვლილებათა მხედველობაში მიღებით სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 183.957.633 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავალი—179.711.622 ათასი მანეთის რაოდენობით.

შეეხო რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად შეტანილ ანგარიშს სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მომხსენებელმა განაცხადა, რომ კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიას არავითარი შესწორება არა აქვს ანგარიშის ციფრების გამო და წინადადება შეიტანა დამტკიცებულ იქნას იგი უცვლელად.

შემდეგ კავშირის საბჭო გადადის კამათზე 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

დეპუტატი ტ. ი. კულიევი აცხადებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად და სავსებით გამოხატავს იმ უდიდეს წარმატებებს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყველა მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით. ორატორს წინადადება შეაქვს მთავრობის მიერ სესიის განსახილველად შეტანილი სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნას კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შესწორებებითა და წინადადებებითურთ.

დეპუტატი ლ. რ. კორნიეცი თავის სიტყვაში დიდ ადგილს უთმობს იმ ღონისძიებებს, რომელთაც პარტია და მთავრობა ახორციელებს უკრაინის დასავლეთი ოლქების სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის და რომლებიც თავიანთ გამოხატულებას ჰპოვებენ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში.

უზბეკეთის სსრ ბიუჯეტის უდიდეს ზრდას თავისი სიტყვა მიუძღვნა უზბეკეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. აბდურახმანოვმა.

რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ა. პეკშევმა დაწვრილებით დაახასიათა რუსეთის სფსრ სახელმწიფო ბიუჯეტი.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. გ. ა. მიტერევი. მისი სიტყვა მიძღვნილია საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი. ამხ. მიტერევი ლაპარაკობს, რომ სტალინური ზრუნვა მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის გამოხატულია სესიის განსახილველად წარდგენილ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში. იგი სთხოვს უმაღლეს საბჭოს დაამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა ტ. ვ. ფედოროვამ. მოსკოვის ცხოვრების მკაფიო ფაქტებით მან დაასურათა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა მშრომელთა კულტურული ზრდისა და მატერიალური კეთილდღეობისათვის. დედაქალაქის სკოლასაკოვან მცხოვრებთა დაახლოებით 40 პროცენტი სწავლობს. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოსკოველებმა მიიღეს 379 ახალი სკოლა, საშუალო და პირველდაწყებით სკოლებში სწავლობს 618 ათასი ბავშვი, უმაღლეს ტექნიკურ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში—95 ათასი კაცი.

ამხ. ფედოროვა აყენებს საკითხს მოსკოვში თეატრებისა და კინო-თეატრების ქსელის გაფართოების შესახებ და აგრეთვე გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ახალი მშენებლობის საჭიროების შესახებ.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ა. ს. ფირუზიანს. მან სესიას უამბო სომხეთის სს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის სწრაფი ტემპების შესახებ, სომხეთის მშრომელთა მასების სამეურნეო ინიციატივის შესახებ. კოლმეურნეებს ამჟამად საკუთარი ინიციატივით გაჰყავთ ასობით კილომეტრიანი გზები და აშენებენ სარწყავ ნაგებობებს, რომლებიც საჭიროა მებამბეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს VI სესიის მეორე სხდომა. (საკდესი).

2 აპრილს, საღამოს 7 საათზე, „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული) შესდგება გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ჯამბაზები“, ყივჩაღური ცეკვები ოპერა „თავად იგორიდან“ (1 აბ. 11 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — „გმირთა თაობა“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „მადამ სან-ჟენ“, **მუსკომედია**— „ნატვრის თვალი“.

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „არინკა“, **ოქტომბერი** — „გამანადგურებელნი“, **დამკვრელი** — „არინკა“, **კომკავშირელი** — „წყნარი დონი“, **სპარტაკი** — „გამანადგურებელნი“, **ლუქსემბურგის** სახ. — „ბედნიერების მაძიებელნი“, **26 კომ.** სახ. — „მექსიკის დიპლომატები“, **კომინტერნი** — „საზღვარზე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მე-21 სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ ალ. ზაქარიაძის დედის

ელისაბედის

გარდაცვალებას. 5882

ცოლი ფოტინე, შვილი ატუა ოჯახით, ქალიშვილი თინა შვილებით, რძალი ნადია იუწყებიან

ბიქტორ დიმიტრის-ძე კოპაძის

გარდაცვალებას. გასვენება ს. ბაღდათში. 5878

შვილები გოგლა, ვახტანგ, ელენე, ციცინო ნინიკაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ვერა გიორგის-ასულ ნინიკაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 2/IV, 4½ ს. კალინინის 94, კუკიის სასაფლაოზე. 5880

ლადიმე, ივდითი თოიძეები, ბენო, ნინო, ლამარა გოგუები, ლადო, ფალია ადეიშვილები, ნიტიფო, ნინო, ფენია თოიძეები იუწყებიან ბიძაშვილის

გერასიმე შავიშვილის

გარდაცვალებას. 5894

თბილისის კინოქრონიკის თანამშრომლები იუწყებიან რეჟისორ შალვა ვასილის-ძე მართაშვილის ძმის

სერგოს

გარდაცვალებას. 5884

მშობლები ტატიანა, შალვა, ძმა კარლო იუწყებიან პატარა

ბადრი შალვას-ძე სურგულაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 2/IV 5 ს. ქალაქის I საავადმყოფოდან. 5889

რ. მამალაძე, ვ. ქლიბაძე, ნ. ფანჩულიძე, ი. ქათამაძე, გ. კუხიანიძე იუწყებიან ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ვ. სალაძის მეუღლის

ელენე სალაძის

გარდაცვალებას. 5876

დედა დარო, დები ბაბულია, თამარ, ძმა ალექსანდრე, სიძე მიშა მემარნიშვილი, დისწულები ნოდარ, გივი იუწყებიან

ქეთო დავითის-ასულ ლომკაცის

გარდაცვალებას. დაკრძალვა თელავში. 5883

ტრიფონ, აკაკი, ვარლამ, ზინა, თამარ, გურამ და ნანა თოფურიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მეუღლის, დედისა და ბებიას

ელისაბედ თოფურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ონტოფოში (აბაშის რ.).

ხარიტონ, ლავრენტი, ლეონტი, კოლია, დათიკო, მარიამ, ანასტასია, კატო, ცაცო, ბუბუ და მარგარიტა ნინუები იუწყებიან ძვირფასი დედის

დესპინე ფარნაოზ გეგეჭკორის ასულის-ნინუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 აპრილს ქ. ცხაკაიაში.

მეუღლე დომინო, შვილები: ნიკოლოზ, ალექსანდრე (ელისე), გრიშა, რუსიკო, შვილიშვილი იზოლდა ჩანტლაძეები იუწყებიან

ივლიანე ივანეს-ძე ჩანტლაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დაბა ჩოხატაურში ა. წ. 4/IV.

მშობლები ნინა, ლეო, ბებია ქსენია, ნათელა, ვახუშტი ხომერიკები, თინა, ვახტანგი და გოგი ტურაშვილები იუწყებიან პატარა

ლეონინა (მანანა) ხომერიკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 აპრილს 4½ საათზე, ბელინსკის ქუჩა № 39. 5885

ტ. ტაბიძე, თ. მიქელაძე, ნ. ულენტი, ქ. მეტრეველი, ლ. მიქელაძე, მ. შელია, რ. ჯაფარიძე, ლეო, ლუკა ტყემალაძეები, თ. ავალიანი, ნ. სირაძე, ნ. გაბუნია, მ. კასრაძე, მ. აბაშიძე იუწყებიან

ვოკა უზრეხელიძის

გარდაცვალებას. 5877

კობახიძე, მამალაძე, ბარბაქაძე, ბრეგვაძე, ნიქაბაძე, უკლება, ხაჟომია, კიკნაძე, კაპანაძე, ციმაკურიძე, ჭიკო ჩხიკვაძე, გველესიანი, წიქარიშვილი, ოტიაშვილი, გოგიაშვილი, ულენტი, ავალიშვილი იუწყებიან ვალიკო სალაძის მეუღლის

ელენეს

გარდაცვალებას. 5875

დედა ზინა, ძმა ალიოშა, ბიძები, ბიცოლები მაისურაძეები იუწყებიან

პავლე არჩვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/IV 4 ს. ძერჟინსკის, 13. 5895

დუშეთის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის სასწ. ნაწილის გამგის მარიამ ავეტიქოვის ძმის

სერგოს

გარდაცვალებას. 5900

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები სა- პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების— 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1486